საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვალეს ნამარხი ფლორა

ვალეს ნამარხი ფლორა, ფლორა, რომელიც განამარხებულია ახალციხის დეპრესიის ცენტრ. ნაწილში, ქ. ვალესთან, სარმატული ასაკის ტუფოგენურ ნალექებში, რ-იც გოდერძის ვულკანოგენური წყების ქვედა ნაწილს შეესაბამება. ვალედან სამხრ-ით, მდ. ფოცხოვისწყლის მარცხ. ნაპირზე, ფლორის ნაშთების შემცველი, 20–35 მ სისქის შრეები საკმაოდ მაღალ კარნიზს ქმნის. მასალა ძირითადად წარმოდგენილია ნამარხი მცენარეების ფოთლების კარგად დაცული ანაბეჭდებით. აქ 60-ზე მეტი სახეობიდან უმეტესად ორლებნიანი ხეების და ბუჩქების ნაშთებია, მათ შორის თანაბარი რაოდენობითაა მარადმწვანე და ფოთოლმცვენი ფორმები. ფლორის დიდი ნაწილი თბილი და შედარებით მშრალი ჰავისთვის დამახასიათებელი ლანცეტისებრი ფორმის ფოთლების მქონე სახეობებია, რ-თაგან უმეტესობა გადაშენებულია. მათი თანამედროვე ანალოგები გვხვდება სამხრ.-აღმ. აზიაში, ჩრდ. და ცენტრ. ამერიკაში, კანარის კ-ებზე, ხმელთაშუა ზღვის ოლქში, ცენტრ. ევროპასა და ამიერკავკასიაში.

ი. რამიშვილი